### ტრენინგი საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირებისთვის

ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირებისთვის ტრენინგები ჩაატარეს. სწავლება 3 ეტაპად, 12-დან 28 ივლისის ჩათვლით განხორციელდა და მონაწილეებმა განახლებული ინფორმაცია მიიღეს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა: არჩევნების მართვის ელექტრონული სისტემა, ფინანსური აღრიცხვა/ანგარიშგება, სამართლებრივი წერა, საჩივრების რეესტრის ელექტრონული პროგრამა და საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის ე.წ. ,,E Document"-ის პროგრამა. სწავლების ფარგლებში, მონაწილეებმა ასევე გაიღრმავეს ცოდნა საკანონმდებლო ცვლილებებთან და საარჩევნო დავებთან დაკავშირებით.

**დამატებითი ინფორმაცია:**

http://electionreforms.ge/geo/list/show/3135-treningi-saolqo-saarchevno-komisiebis-khelmdzghvaneli-pirebistvis